ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 329

"12" ივლისი 2024 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „აბგრეიდ ქონსთრაქშენს" (ს/ნ. 405542024) შორის 2023 წლის 11 იანვარს გაფორმებული „ქ. თბილისში, პეტრე იბერის შესახვევი №13-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №01.10.06.001.292 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთისა და №01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული 688 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (წინა საკადასტრო კოდი: №01.10.06.001.261), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისგან, შპს „აბგრეიდ ქონსთრაქშენის" (ს/ნ. 405542024) უფლებამონაცვლე, შპს „ბლოქსი თავდადებულზეს" (ს/ნ. 405626997) გათავისუფლების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ვ" ქვეპუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-12 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ასევე, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „აბგრეიდ ქონსთრაქშენს" (ს/ნ. 405542024) შორის 2023 წლის 11 იანვარს გაფორმებული „ქ. თბილისში, პეტრე იბერის შესახვევი №13-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №01.10.06.001.292 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთისა და №01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული 688 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (წინა საკადასტრო კოდი: 01.10.06.001.261), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს დაკისრებისგან, შპს „აბგრეიდ

ქონსთრაქშენის“ (ს/ნ: 405542024) უფლებამონაცვლე, შპს „ბლოქსი თავდადებულზეს“ (ს/ნ. 405626997) გათავისუფლების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 13 ივნისის №24.1016.1146 განკარგულების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სახელით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირს - ქონების მართვის სააგენტოს, ყოფილი საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრებს/მათ უფლებამონაცვლეებსა და შპს „აბგრეიდ ქონსთრაქშენს“ (ს/ნ: 405542024) შორის 2023 წლის 11 იანვარს გაფორმებული „ქ. თბილისში, პეტრე იბერის შესახვევი №13-ის მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული №01.10.06.001.292 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 3000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთისა და №01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის თანასაკუთრებაში არსებული 688 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის (წინა საკადასტრო კოდი: №01.10.06.001.261), კონკურენტული შერჩევის საფუძველზე, პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ხელშეკრულების 3.1. და 3.4. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულების დარღვევის გამო, ამავე ხელშეკრულების 6.1. პუნქტის შესაბამისად დასაკისრებელი პირგასამტეხლოსგან, 52 500 (ორმოცდათორმეტი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით, შპს „ბლოქსი თავდადებულზეს“ (ს/ნ. 405626997) გათავისუფლების თაობაზე.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე